

თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმი: გზამკვლევი ოჯახებისათვის

რა არის თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმი?

ჰიპოთირეოდიზმი ნიშნავს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებას. თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმი ვითარდება, როდესაც ახალშობილში დაქვეითებულია ფარისებრი ჰორმონის ნორმალური რაოდენობით წარმოქმნის უნარი. თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმი ვითარდება დაახლოებით 3000-4000-დან 1 ახალშობილში. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონი მნიშვნელოვანია თქვენი ბავშვის ტვინის განვითარებისათვის და ზრდისათვის, შესაბამისად მკურნალობის გარეშე შესაძლოა გამოვლინდეს გონებრივი განვითარებისა და ზრდის შეფერხება. თუმცა, ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შედეგად შესაძლებელია, რომ თქვენმა ბავშვმა იცხოვროს ნორმალური, ჯანმრთელი ცხოვრებით.

რა იწვევს თანდაყოლილ ჰიპოთირეოდიზმს?

თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმის ყველაზე ხშირი მიზეზია ფარისებრი ჯირკვლის არასათანადო განვითარება, ჯირკვალი შესაძლოა არ განვითარდეს, იყოს ძალიან პატარა, ან განვითარდეს არასწორ ნაწილში. ზოგჯერ ჯირკვალი სწორად ვითარდება, მაგრამ არ ხდება ჰორმონის სათანადო რაოდენობით გამოთქმა. ზოგჯერ კი ფარისებრი ჯირკვალი არ იღებს მითითებებს ჰიპოფიზიდან (ხელმძღვანელი ჯირკვალი), რომელიც ჩვეულებრივ სიგნალს გადასცემს მას, რათა გამოიმუშავოს ჰორმონი. იშვიათ შემთხვევებში ორსულობის დროს მიღებულმა მედიკამენტებმა, ძირითადად ფარისებრი ჯირკვლის დაავადების სამკურნალო პრეპარატებმა, შესაძლოა გამოიწვიოს თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დროებითია. თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმი, როგორც წესი, არ გადაეცემა მემკვიდრეობით. ეს ნიშნავს, რომ თუ თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმი განვითარდა ერთ ბავშვთან, ნაკლებად სავარაუდოა, მომავალ შვილებსაც განუვითარდეთ ეს მდგომარეობა.

რა არის თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმის ნიშნები და სიმპტომები?

თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმის სიმპტომები ცხოვრების პირველ კვირაში, როგორც წესი, ამკარად გამოხატული არ არის. თუმცა, ზოგჯერ, მწვავე ჰიპოთირეოდიზმის დროს, შესაძლოა გამოიხატოს კვების რპობლემები, სისუსტე, ზედმეტი ძილიანობა, სუსტი ტირილი, ყაბზობა და გახანგრძლივებული სიყვიტელი (ყვიტელი კანი). ასეთ ჩვილებს შესაძლოა ჰქონდეთ შეშუპებული სახე, კუნთების დაქვეითებული ძალა, დიდი ენა, შებერილი მუცელი და ნორმაზე დიდი ზომის ყიფლიბანდი.

როგორ ხდება თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმის დიაგნოსტიკა?

რადგან ახალშობილობის პერიოდში გამოხატული

ნიშნებისა და სიმპტომების საფუძველზე რთულია თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმის დიაგნოზის დასმა, ყველა სამშობიაროში ტარდება ამ დაავადების სკრინინგს ქუსლიდან აღებული სისხლის ანალიზის საშუალებით, რომელიც ბავშვს უტარდება სამშობიაროდან გაწერამდე. ამ პროცესს ახალშობილთა სკრინინგი ეწოდება. დადებითი შედეგის შემთხვევაში (ანალიზით ვლინდება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის დაბალი დონე, ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელი ჰორმონის მაღალი დონე, რომელსაც ეწოდება TSH და რომელსაც გამოიმუშავებს ჰიპოფიზი), სკრინინგის პროგრამა დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ ბავშვის ექიმს. მკურნალობის დაწყებამდე, თქვენი ბავშვის ექიმი ჩაატარებს სისხლის ანალიზს თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმის დიაგნოზის დასადასტურებლად. ზოგიერთ შემთხვევაში ექიმმა შეიძლება დანიშნოს ფარისებრი ჯირკვლის რადიოლოგიური გამოკვლევა, რათა შემოწმდეს ფარისებრი ჯირკვლის ზომები.

როგორ ხდება თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმის მკურნალობა?

თანდაყოლილი ჰიპოთირეოდიზმის მკურნალობა ხდება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის მიღებით, წამალი აბების ფორმითა და ლევოთიროქსინი ეწოდება. ბევრ ბავშვს მკურნალობა სჭირდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. დაფხვნილი ლევოთიროქსინი ბავშვმა უნდა მიიღოს დღეში ერთხელ, წყალთან, რძესთან ან საკვებ ფორმულასთან შერეული სახით, პიპეტის ან შპრიცის საშუალებით. ფარისებრი ჰორმონის ყოველდღიურად მიღება და ბავშვთა ენდოკრინოლოგთან რეგულარული მონიტორინგი მკურნალობის აუცილებელი პირობაა. თქვენი ექიმი განახორციელებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის პერიოდულ შემოწმებას ანალიზების საშუალებით, იმისათვის, რომ მედიკამენტების დოზა სწორად იყოს მორგებული. „პრაქტიკული რჩევები ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის მიღებისას“ გზამკვების მიხედვით, ფარისებრი ჯირკვლის მედიკამენტთან ერთად უნდა მოერიდოთ ბავშვისთვის ისეთი საკვების მიცემას, რომელიც შეიცავს სოიოს რძეს და რკინითა და კალციუმით მდიდარ ვიტამინებს. ჰორმონი, რომელსაც პაციენტი იღებს აბის ფორმით ილენტურია იმ ჰორმონისა, რომელიც ორგანიზმში გამოიმუშავდება. მკურნალობისას გვერდითი მოვლენები შეიძლება განვითარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მედიკამენტის დოზაა ძალიან მაღალი, რისი თავიდან აცილებაც ენდოკრინოლოგის მიერ დადგენილი პერიოდულობით სისხლში ჰორმონის დონის შემოწმებითაა შესაძლებელი.

Maynika Rastogi, MD, FAAP, and Surendra Varma, MD, FAAP, PES/AAP- SoEn Patient Education Committee

